



MES 2 22 0000546693



27/05/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 11 მაისს სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting:

<https://us02web.zoom.us/j/88391981030?pwd=MkZxWnlkVFZSVnZVTnlmY0p0cHJXQT09>

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

თამაზ ბახტაძე - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);

ნატო მეტურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

მარიკა ზაქარაიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის – „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „იბერია“ :

დირექტორი - ირაკლი ავალიანი;

დირექტორის მოადგილე - ანა ცუცქერიძე ;

ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი - ნინო დარასელია ;

„მელვინე-დეგუსტატორი“ მასწავლებელი - თემურ ღვინიაძე ;

„მელვინე-დეგუსტატორი“ მასწავლებელი - ვარლამ მინდელი ;

„მარნის მასპინძელი“ მასწავლებელი - მანანა გვიშიანი;

„მარნის მასპინძელი“ მასწავლებელი - ქეთი უგლავა.

სსიპ - კოლეჯი „ერქვანი“ :

კოლეჯის დირექტორი - ფრიდონ ბუაძე;

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი- დარეჯან ჭელიძე.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით მახვილაძე;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - ხათუნა მხეიძე;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი - თამარ აფციაური;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული პროგრამების განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თათა ფილიპიდის;

უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - ეკატერინე ნარეშელაშვილი;

ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი - ლალი ხუნწარია;

ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ქეთევან ქუთათელაძე;

ენერგეტიკის ფაკულტეტის მენეჯერი - თეიმურაზ ბულია;

"ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟის (მზის თერმული სისტემების მონტაჟი)" პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი - ევტიხი მაჭავარიანი;

"ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟის (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)" პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი - ლევან რობაქიძე;

პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი, სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - მაია ჯიხვაძე;

პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი, სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი - ნათია ქსოვრელი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი - მადონა მიქელაძე;

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი - მამუკა გოგელია;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი - მარინა ქორიძე;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი - რუსუდან ხუბუნაიშვილი.

შპს ამარენა:

დირექტორი - ხათუნა ბაკურაძე

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

თეა მახათელაშვილი
დავით შარიქაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:05 საათზე.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე მარიამ ქუჩულორია, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა მარიკა ზაქარეიშვილი, ხოლო საბჭოს მდივნად, გიორგი გამყრელიძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯ „იბერიისთვის“ „მარნის მასპინძელი“ /01266/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

2. სსიპ - კოლეჯ „იბერიისთვის“ „მელვინე-დეგუსტატორი“ /01277/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

3. სსიპ - კოლეჯ „ერქვანისთვის“ „მარნის მასპინძელი“ /01265/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ /01347/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის თერმული სისტემების მონტაჟი)“ /01289/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ /01346/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

7. შპს ამარენასთვის „ფრანგული კონდიტერია“ /01331/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხების წარმდგენებს სთხოვა, მოკლედ და ლაკონურად წარედგინათ პრეზენტაციები, ასევე აღნიშნა, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს მთავარ და ძირითად პრობლემურ საკითხებზე. სხდომის თავმჯდომარემ ისიც აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები იცნობენ მასალებს, დასკვნას და ამდენად, წარმდგენებს სთხოვა. მნიშვნელოვან ასპექტებზე ყურადღების გამახვილება

ცენტრის წარმომადგენელმა, მაყვალა დარსანიამ ითხოვა კომენტარის გაკეთება და აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპს ამარენას დარგის ექსპერტები არ ესწრებოდნენ საბჭოს სხდომას და აღნიშნულ საკითხებს საბჭოს წინაშე წარადგენდა თავად.

1. სსიპ - კოლეჯ „იბერიისთვის“ „მარნის მასპინძელი“ /01266/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა თეა მახათელაშვილმა. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს სპეციალისტთან მათა აბდალაძესთან ერთად შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „მარნის მასპინძელი“ ხარვეზის გამოსწორების შესახებ წარმოდგენილი განმეორებითი განაცხადი და დოკუმენტაცია.

მისი განცხადებით, პროგრამის შესწავლა განხორციელდა დისტანციურ ფორმატში. წინა შემთხვევაში დახარვეზდა სახელწოდება, რომელიც განსაზღვრული იყო როგორც „მარნის გიდი“ და ასოცირებას აკეთებდა როგორც გადაადგილების სამუშაო აღწერილობის მქონე პოზიციაზე. მისი განცხადებით, ცვლილება რომელიც განხორციელდა პროგრამის სახელწოდებაში არის ადეკვატური და განსაზღვრავს ზუსტად იმას, რაც იგულისხმება პროგრამაში, მარნის მასპინძელი.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით:

1.3 ქვესტანდარტი - წარმოდგენილი პროგრამის მიზანია: „კურსდამთავრებულმა იცოდეს რეგიონის ძირითადი გეოგრაფიული და ისტორიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხები. ძირითადი ინფორმაცია მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ; ვაზის უმთავრესი საერთაშორისო და ქართული ჯიშები და ადგილწარმოშობის დასახელებები სტილისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით. ასევე შეძლოს ტურის მომზადება, ტურის გაძღოლა, მასპინძელის ეთიკის ნორმების გამოყენება; ღვინის დეგუსტაციის ჩატარება, ღვინის სერვირება და ღვინის წარდგენა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად“. პროგრამის მიზანში არ ჩანს, რა იგულისხმება რეგიონის შემთხვევაში, კონკრეტული რეგიონი (მაგ. იმერეთი), თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონია ნაგულისხმევი, ვინაიდან მსმენელი პროგრამის დასრულების შემდეგ შესაძლებელია დასაქმდეს არა მარტო ამ კონკრეტულ რეგიონში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებში, შესაბამისად სასურველია თემატიკაში ჩანდეს, რომ ისწავლება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ძირითადი გეოგრაფიული და ისტორიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხები პროგრამაში დაზუსტდეს რომ იგულისხმება საქართველოს სხვადასხვა რეგიონი, ვინაიდან მსმენელი პროგრამის დასრულების შემდეგ შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, შესაბამისად სასურველია თემატიკაში ჩანდეს, რომ ისწავლება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ძირითადი გეოგრაფიული და ისტორიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხები.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „იბერიისთვის“ „მარნის მასპინძელი“ /01266/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „მარნის მასპინძელი“ /01266/ (**დანართი1**).

2. სსიპ - კოლეჯ „იბერიისთვის“ „მეღვინე-დეგუსტატორი“ /01277/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა თეა მახათელაშვილმა. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს სპეციალისტთან მაია აბდალაძესთან ერთად შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის - „მეღვინე-დეგუსტატორი“ ხარვეზის გამოსწორების შესახებ წარმოდგენილი განმეორებითი განაცხადი და დოკუმენტაცია. პროგრამის შესწავლა განხორციელდა დისტანციურ ფორმატში.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაა „მეღვინე-დეგუსტატორი“, ხოლო პროგრამის სწავლების შედეგებია:

1. ყურძნის მისაღებად საწარმოსა და ინვენტარის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა
2. ყურძნის გადასამუშავებელი დანადგარების გამოყენებით ყურძნის დაწურვა
3. სპირტული დუდილის პროცესის მართვა
4. საღვინე ჭურჭლისა და მოწყობილობების რეცხვა - დეზინფექცია
5. ღვინის მოვლაში მონაწილეობის მიღება
6. ღვინის ლექიდან გადაღება
7. ღვინომასალის გადატანა ერთი ჭურჭლიდან მეორეში
8. ღვინის დამუშავების ტექნოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა
9. ღვინის დაავადებების პრევენციული ღონისძიებების დასახვა
10. ღვინის დამუშავება ტექნოლოგიური სქემის მიხედვით
11. ღვინის ჩამოსხმა და დასაწყობება
12. ღვინის ორგანოლეპტიკური შეფასება
13. ღვინის სერვირება - პრეზენტაცია.

ექსპერტის განცხადებით, წარმოდგენილი პროგრამის მიზანია უზრუნველყოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური მეღვინე-დეგუსტატორის მომზადება, რომელიც შეძლებს მარანში/მეღვინეობის ქარხანაში მუშაობას - ყურძნის რთველის ვადების დადგენას, ყურძნის მოსავლის აღებასა და მის პირველად გადამუშავებას, საღვინე ტკბილიდან და ღურდოდან ღვინომასალების მიღებას, ღვინის მოვლის, დამუშავების, ფილტრაციისა და ჩამოსხმის ტექნოლოგიურ პროცესებში მონაწილეობას - შესაბამისი ტექნოლოგიური რუქებისა და ინსტრუქციების მიხედვით, მზა პროდუქციის დეგუსტაციასა და სენსორული თაიგულის შეფასებას. 14 კვირიანი პროგრამის დასრულების შემდეგ მეღვინე-დეგუსტატორი აღჭურვილი იქნება პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული ცოდნითა და უნარებით, გაეცნობა მეღვინეობის სფეროს ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ღირებულებებსა და ეთიკურ ნორმებს. პროგრამის აღწერითი ნაწილის მიხედვით პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლება და სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა/უნარები მეღვინე დეგუსტატორის პროფ. სფეროში და

დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით. სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. პროგრამა სულ მოიცავს 280 საკონტაქტო საათს: თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის კვირეული დატვირთვა არის 20 საათი, სსიპ კოლეჯის „იბერია“-ს ბაღდათის ფილიალის A და C გარემოში. შესაბამისად პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. ექსპერტის განცხადებით, ხარვეზი კოლეჯში არ დაფიქსირებულა.

ექსპერტის განმარტებით, პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. მისი განმარტებით, წარმოდგენილი პროგრამა ხორციელდება დაწესებულების A C გარემოში, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. კოლეჯს ჰყავს 6 (ექვსი) პარტნიორი, რომლებთანაც მემორანდუმები აქვს გაფორმებული.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯმა წარმოადგინა დაზუსტებული განრიგი, რომელშიც ჩანს პარტნიორებთან ეფექტური თანამშრომლობის გეგმა.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „იბერიისთვის“ „მელვინე-დეგუსტატორი“ /01277/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „იბერიას“(ს/კ: 212682051)მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „მელვინე-დეგუსტატორი“ /01277/ (დანართი 2).

3. სსიპ - კოლეჯ „ერქვანისთვის“ „მარნის მასპინძელი“ /01265/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა თეა მახათელაშვილმა. მისი განმარტებით, წინა შემთხვევაში დახარვეზდა პროგრამის სახელწოდება „მარნის გიდი“. ამჟამად წარმოდგენილი

პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაა „მარნის მასპინძელი“, რომელიც შეესაბამება პროგრამის შინაარსს. წარმოდგენილი პროგრამის შედეგებია:

1. რეგიონის ძირითადი გეოგრაფიული, ისტორიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სოციალური საკითხები;
2. ძირითადი ინფორმაცია მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ;
3. ვაზის უმთავრესი საერთაშორისო და ქართული ჯიშები და ადგილწარმოშობის დასახელებები სტილისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით;
4. მარნის მასპინძლის საქმიანობისთვის საჭირო ყველა ძირითადი მახასიათებელი, ტურის მომზადება, ტურის გაძღოლა;
5. მასპინძლის ეთიკის ნორმების გამოყენება;
6. ღვინის დეგუსტაციის ჩატარება, ღვინის სერვირება და ღვინის წარდგენა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

წარმოდგენილი პროგრამის მიზანია: „კურსდამთავრებულმა იცოდეს რეგიონის ძირითადი გეოგრაფიული და ისტორიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხები. ძირითადი ინფორმაცია მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ; ვაზის უმთავრესი საერთაშორისო და ქართული ჯიშები და ადგილწარმოშობის დასახელებები სტილისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით. ასევე შეძლოს ტურის მომზადება, ტურის გაძღოლა, მასპინძლის ეთიკის ნორმების გამოყენება; პროგრამის აღწერითი ნაწილის მიხედვით პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა და უნარები, გაიაროს საწარმოო პრაქტიკა და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით ღვინის საწარმოებასა და მცირე მარნებში. სწავლება განხორციელდება კვალიფიციურ პრაქტიკასა და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით პრაქტიკოსი კვალიფიციური სპეციალისტების მიერ, უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების სრული დაცვით.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით:

ქვესტანდარტი 1.3 - პროგრამის მიზანში არ ჩანს, რა იგულისხმება რეგიონის შემთხვევაში, კონკრეტული რეგიონი (მაგ. რაჭა), თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონია ნაგულისხმევი, ვინაიდან მსმენელი პროგრამის დასრულების შემდეგ შესაძლებელია დასაქმდეს არა მარტო ამ კონკრეტულ რეგიონში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებში, შესაბამისად სასურველია თემატიკაში ჩანდეს, რომ ისწავლება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ძირითადი გეოგრაფიული და ისტორიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხები.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ერქვანისთვის“ „მარნის მასპინძელი“ /01265/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ:222934671) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „მარნის მასპინძელი“ /01265/ (დანართი 3).

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ /01347/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის თერმული სისტემების მონტაჟი)“ /01289/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინეს, ცენტრის წარმომადგენლებმა ლანა გაჩეჩილაძემ და მაყვალა დარსანიამ. პროფესიული გადამზადების პროგრამის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟის (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ პრეზენტაცია წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ, ხოლო პროფესიული გადამზადების პროგრამის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟის (მზის თერმული სისტემების მონტაჟი)“ პრეზენტაცია, მაყვალა დარსანიამ.

ლანა გაჩეჩილაძემ, მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა დავით შარიქაძემ შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟის (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ და პროფესიული გადამზადების პროგრამის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის თერმული სისტემების მონტაჟი)“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2022 წლის 19 აპრილს განახორციელეს ფიზიკური ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

პროფესიული გადამზადების პროგრამის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟთან (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი) მიმართებით, სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა qms.eqe.ge ელექტრონულ სისტემაში პროგრამის საჭიროების დასაბუთების ველში წარმოადგინა პროფესიული გადამზადების პროგრამის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ პროგრამის საჭიროების დასაბუთება. 2019 წლის 20 დეკემბერს, პარლამენტმა მიიღო კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ

(#5652 20.12.2019)“. აღნიშნულმა კანონმა ახალი ბიძგი მისცა განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებას. ჩვენი ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ყველა სახის ადგილობრივი განახლებადი ენერჯორესურსების ათვისება. მათ შორის, მცირე სიმძლავრის განაწილებული გენერაცია, რაშიც ფოტოელექტრული მზის ელექტროსადგურებიც შედის.

„განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ (#5652 20.12.2019) კანონის მე-14 და 21-ე მუხლები მოითხოვს მცირე მასშტაბიანი მზის ფოტოელექტრული სისტემების სერტიფიცირებული და კვალიფიციური მემონტაჟების მომზადებას და მათი სიის დამტკიცებას მთავრობის სხდომაზე. ასეთი დოკუმენტის გამცემი ორგანიზაცია დღეს საქართველოში არ არსებობს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სს საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), შპს „მზის სახლის“ და ა(ა)იპ „ენერჯოეფექტურობის ცენტრი საქართველო“-ს ჩართულობით, შემუშავებული იქნა ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მემონტაჟის პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნები. მოთხოვნები დამტკიცდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ (#81419 12.07.2021).

მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნების დამტკიცების შემდეგ, ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მემონტაჟებისათვის (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი), საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავდა პროფესიული გადამზადების პროგრამა. პროგრამის შემუშავებას საფუძვლად დაედო რიგი კანონი, დადგენილება და ბრძანება. მათ შორის: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვალის №75 დადგენილება „განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის ჰარმონიზირებული ნიმუშის მინიმალური მოთხოვნების შემუშავების წესის შესახებ“ და განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა; საქართველოს კანონი (#5652 20.12.2019) „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 12 ივნისის №81419 ბრძანება „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მემონტაჟის პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნები დამტკიცების შესახებ“. პროგრამა ითვალისწინებს განახლებადი ენერჯორესურსების დანადგარების/მოწყობილობების მემონტაჟებისათვის მზის მცირემასშტაბიანი ფოტოელექტრული სისტემების სამონტაჟოდ აუცილებელი უნარების პრაქტიკაში გამომუშავებას. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, მსმენელები მიიღებენ კვალიფიციური მემონტაჟების სერტიფიკატს და შეძლებენ მინიმუმ ადგილობრივ ბაზარზე დასაქმებას. ამდენად, პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.

ლანა გაჩეჩილაძის განცხადებით, პროგრამის მიზანია: „, მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც შეძლებს მზის ენერჯიაზე მომუშავე ფოტოელექტრული სისტემებისა და მის შემადგენელ დანადგარებზე/მოწყობილობებზე მუშაობას; შეეძლება მათი მონტაჟის, შემოწმების და ტექნიკური მომსახურების და უსაფრთხოების წესების აღწერა; მზის ენერჯიაზე მომუშავე ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, მათი მონტაჟი, შემოწმება, შეკეთება ტექნიკური მომსახურება უსაფრთხოების წესების დაცვით.“ შესაბამისად, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

გაიცა რეკომენდაცია:

1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ელექტრონული სისტემით წარმოდგენილ პროგრამაში დაფიქსირებული დაშვების წინაპირობები განსხვავდება პროგრამის იმ ვერსიისგან, რომელიც დამტკიცებულია სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7

ოქტომბრის №01-05-04/149 დადგენილებით. ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულია დაშვების წინაპირობა: სამუშაო გამოცდილება- ელექტრიკოსად/მექანიკოსად ან მემონტაჟედ მუშაობის გამოცდილება. - 1 წელი კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის დარგში- 071 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის სფეროში-071 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე ძველი კლასიფიკატორით განსაზღვრული კვალიფიკაცია 0405 - ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია ასაკი : 20 ჯანმრთელობის ცნობა-აღწერა: ფიზიკურად ძლიერი აპლიკანტი სხვა -აღწერა: საბაზო განათლება აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: საბაზო განათლება; ელექტრიკოსის ან მექანიკოსის კვალიფიკაცია, ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მემონტაჟედ, ელექტრიკოსად ან მექანიკოსად მუშაობის გამოცდილება. ვიზიტის დროს გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამაზე ჩასარიცხად პირს მოეთხოვება საბაზო განათლებასთან ერთად სამუშაო გამოცდილება ან შესაბამისი კვალიფიკაცია, ასევე ჯანმრთელობის ცნობა. დაისვა კითხვა რას ნიშნავს ან როგორ ფასდება უნივერსიტეტის მიერ პირის ფიზიკური სიძლიერე. მიღებული განმარტებით, ეს ჩანაწერი გულისხმობს, რომ პირმა უნდა შეძლოს მძიმე ნივთების აწევა და სიმაღლეზე მონტაჟი ამდენად გასაუბრების დროს შეაფასებენ მსმენელებს ვიზუალურად და ასევე რაიმე დავალების მიცემით. აღსანიშნავია, აღნიშნული ჩანაწერი არ არის გათვალისწინებული აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამაში. რეკომენდირებულია, დაზუსტებულად და ერთგვაროვნად მიეთითოს დაშვების წინაპირობები პროგრამის დოკუმენტებში. ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი პროგრამაში დაფიქსირებული დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

პირველ და მე-2 სტანდარტში გამოვლინდა **ხარვეზები**:

1.10 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე მსმენელის შეფასების წესი, რის თანახმადაც მსმენელის შეფასება ითვალისწინებს: განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს ორი ტიპის შეფასებას: სწავლის შედეგი დადასტურდა და სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. მსმენელთა შეფასების წესის მიხედვით სწავლის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში მსმენელს შეუძლია განმეორებით გავიდეს განმსაზღვრელ შეფასებაზე, მსმენელს განმეორებითი შეფასების უფლება აქვს ერთჯერადად, შეფასების მიღებიდან 5 დღის ვადაში. მსმენელს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება. გასაჩივრების შემდგომი ეტაპები საერთო ჯამში აღემატება 5 დღეს, თუმცა ამავდროულად მას შეფასების მიღებიდან მხოლოდ 5 დღის ვადა აქვს განმეორებითი შეფასებისთვის, ამდენად, რეკომენდირებულია ლოგიკური/გონივრული ვადა მიეცეს პირს, როგორც შეფასების აპელაციისთვის, ასევე განმეორებითი შეფასებისთვის.

წარმოდგენილ პროგრამაში შეფასების მეთოდების ველში არის შემდეგი შეფასების მეთოდები გაწერილი: გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით და პრაქტიკული დავალება. დაწესებულებასთან გასაუბრებისას აღინიშნა და ასევე აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამაში მითითებულია, რომ ყველა სწავლის შედეგი ფასდება ბოლო კვირას და შეფასების მეთოდებად დაფიქსირებულია ტესტი და/ან ზეპირი გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, აღნიშნული ჩანაწერები არ შეესაბამება ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ პროგრამას, ვინაიდან პროგრამაში არ ჩანს თუ რომელ კვირაშია დაგეგმილი განმავითარებელი ან/და განმსაზღვრელი შეფასება, ამდენად ვერ დგინდება შეფასების მეთოდი რამდენად

შეესაბამება სწავლის შედეგს. ზემოთქმულიდან გამომდინარე მსმენელის შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. რეკომენდირებულია, ელექტრონულ სისტემაში პროგრამაში მიეთითოს როდის არის გათვალისწინებული განმსაზღვრელი შეფასება და მიეთითოს შესაბამისი შეფასების მეთოდები.

2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, დაწესებულების მიერ მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა - 10. წარმოდგენილი პროგრამა განხორციელდება ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №36, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია დაწესებულების A და B ტიპის სასწავლო გარემოები - სასწავლო სივრცე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნიკური გადამზადების ცენტრი), თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის შესაძლებელია 10 მსმენელის მომსახურება. C გარემოები მდებარეობს მ. კოსტავას №75-ში, კერძოდ: C 1- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-8 კორპუსი, პირველი სართულზე, არატრადიციული ენერჯის წყაროების ლაბორატორია, რომელიც გათვლილია 15 მსმენელზე C 2 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-8 კორპუსი, კორპუსის სახურავზე, პრაქტიკული მეცადინეობა შესაძლებელია ჩატარდეს 10 მსმენელისათვის C3 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-4 კორპუსი, თბოტექნიკის ცენტრი, სადაც ერთდროულად შესაძლებელია 10 მსმენელის მომსახურება;

დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი მატერიალური რესურსებით, თუმცა დაწესებულებას განაცხადის დოკუმენტშივე აქვს დაფიქსირებული, რომ აღჭურვილობის ჩამონათვალიდან რამდენიმე ჯერ შესყიდული არ არის. აღნიშნული აღჭურვილობისთვის წარმოდგენილ იქნა ინვოისები და განიმარტა, რომ შესყიდვა განხორციელდება პროგრამის უფლების მოპოვების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა ფაკულტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ანალოგიური დანიშნულების აღჭურვილობები, გარდა მსმენელთათვის ინდივიდუალური აღჭურვილობისა, როგორცაა კომბინიზონი და დამცავი ჩაფხუტი. ვინაიდან წარმოდგენილი ვერ იქნა კომბინიზონები და ჩაფხუტები - აღჭურვილობის ნაწილი, რომელიც გადაეცემა მსმენელიდან მომდევნო ჯგუფის მსმენელს და უსაფრთხოების დაცვისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს - აღნიშნული გარემოება დაფიქსირდა ხარვეზად. ასევე დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „მზის სახლთან“ ხელშეკრულების თანახმად ორგანიზაციას შეუძლია ერთდროულად 10 მსმენელის მომსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული გადამზადების პროგრამა არ არის სრულყოფილად უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

აქვე აღნიშნა, რომ ორგანიზაციამ ცენტრში წარმოადგინა მიღება-ჩაბარების შესახებ დამატებითი ხელშეკრულება, სადაც რაოდენობით 10 კომბინიზონის და 10 ჩაფხუტის შესყიდვაა დაგეგმილი, ხელშეკრულება გაფორმებულია 6 რიცხვში და ხელშეკრულების პირობის მიხედვით 10 დღეში ადგილზე ექნება დაწესებულებას აღნიშნული აღჭურვილობა.

ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს წარუდგინა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრი გიორგი გამყრელიძე მიესალმა დამსწრე პირებს და აღნიშნა რომ გასახარია ენერგეტიკის მიმართულებით მოკლევადიანი მომზადების კურსების შემოსვლა. მისი განცხადებით, 2021 წელს ჩატარდა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, რაც შეეხება უშუალოდ განახლებად ენერჯიას, ქარის ენერჯიას და მზის პანელების სისტემებთან მიმართებაში, აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ ყოველწლიურად უფრო და უფრო მზარდი ხდება უცხოელი ინვესტორების ინტერესი

საქართველოში განახლებადი ენერჯის განვითარების და ინვესტირების კუთხით. შესაბამისად განახლებადი ენერჯის ტექნიკოსებთან მიმართებაში არის ძალიან დიდი მოთხოვნა და საჭიროება. აღნიშნული კვლევა არის განთავსებული lmsi.gov.ge - ზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, გაცნობოდნენ კვლევას, თუ რა მიგნებები, რა გამოწვევები იყო ენერჯეტიკის სფეროში, უნარების მხრივ და პროფესიულად კადრების მოძიების მხრივ.

სხდომის თავმჯდომარემ მარიკა ზაქარეიშვილმა მიმართა დაწესებულებას, მისთვის უცნაურობას წარმოადგენდა ერთი გარემოება, თუ რატომ განსხვავდებოდა უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი ცენტრში წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიისგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსმა თამარ აფციაურმა განაცხადა, რომ პროგრამა ბაზაში მის მიერ იყო ატვირთული, აღნიშნული შეუსაბამობა გამოიწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ბაზაში ვერ მოახერხა ყველა იმ მონაცემების დაფიქსირება და შეყვანა რაც ჰქონდა დაწესებულებას დამტკიცებულ პროგრამაში მითითებული.

აპლიკანტთა შერჩევის ფორმასთან დაკავშირებითაც გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელების განმარტებით, ამ სფეროში მომუშავე პირებს ჭირდებოდათ ძლიერი ფიზიკური მონაცემები და პროგრამის შედგენის დროსაც მოხდა აღნიშნულის მითითება.

მარიკა ზაქარეიშვილმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ფიზიკურ მონაცემებთან დაკავშირებულ საკითხის ჩამატებაზე, პირადად ის თავს შეიკავებდა, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა არის გადამზადების პროგრამა, ეს იმას ნიშნავს რომ ვინც უკვე დასაქმებულია ის პირებიც მივიდოდნენ პროგრამაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვეღარ იმუშავებდნენ, რადგანაც, მთავარი მიზანი პროგრამის ის იყო რომ სიაში მოხვედრილიყვნენ. მისი განმარტებით, შესაძლოა აღმოჩენილიყო პირი, რომელსაც არ ექნებოდა ძლიერი ფიზიკური მონაცემი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერჯეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ქეთევან ქუთათელაძემ გამოთქვა სურვილი დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ენერჯეტიკის ფაკულტეტმა გაიზიარა ეკონომიკის სამინისტროსა და ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები, ეკონომიკის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი საქმიანობით არა ერთი თვე დაეთმო პროგრამების მომზადებას. მათ შორის, გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების ძალიან აქტიური ჩართულობით და ექსპერტთა მოწვევით. მან ასევე აღნიშნა, რომ ტექნიკური საქმიანობის გამოუცდელობის გამო, რაც დაკავშირებული იყო ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა შეყვანასთან დაფიქსირდა ხარვეზები.

ქეთევან ქუთათელაძემ ასევე ისაუბრა წინაპირობებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამაში წინაპირობად არის განსაზღვრული საბაზო განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, ხოლო შეფასების წესთან დაკავშირებით გააკეთა მცირე განმარტება. საუბარი იყო ორი ტიპის შეფასებაზე, პირველი ეს იყო როდესაც სტუდენტი იღებდა „არ დადასტურდა“ შეფასებას, ან საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდებოდა გამოცდაზე, სტუდენტს შეეძლო 5 დღის განმავლობაში იგივე პედაგოგთან გამოცდის ჩაბარება და მეორე შემთხვევა ეხებოდა, როდესაც სტუდენტი იღებდა „არ დადასტურდა“ შეფასებას, მაგრამ ჰქონდა გასაჩივრების საშუალება, ამ შემთხვევაში ვადები

გაიზრდებოდა. აღნიშნულზე ვადა არ იყო მითითებული და მისი აზრით უმჯობესი იყო განსაზღვრულიყო.

ამის შემდეგ პროფესიული გადამზადების პროგრამის (მზის თერმული სისტემების მონტაჟი) პრეზენტაცია წარადგინა მაყვალა დარსანიამ. მისი განმარტებით, ხარვეზები და რეკომენდაციები ორივე პროგრამაზე იყო იდენტური.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტს.

დარგის ექსპერტმა დავით შარიქაძემ, დადებითად შეაფასა მიდგომა განახლებადი ენერჯის მიმართ, აღნიშნული მიდგომა ენერგეტიკისთვის იყო თანამედროვე და პროგრესული, მითუმეტეს პერსონალის გადამზადებასთან დაკავშირებით და აღნიშნა რომ მნიშვნელოვანი იყო ამგვარი პროგრამების განხორციელება, გამომდინარე იქიდან რომ უცხოური კომპანიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი კვალიფიკაციის დოკუმენტის არსებობა. მისი განცხადებით, საშუალებების სრული პაკეტი იყო წარმოდგენილი. ექსპერტის აზრით, დადებითი ნაბიჯები არის გადადგმული ენერგეტიკებისთვის და განახლებული ენერჯისთვის. პროგრამები მთლიანობაში შეაფასა დადებითად.

აქვე ლანა გაჩეჩილაძემ დაამატა, რომ დაწესებულებას 5 მაღალკვალიფიციური განმახორციელებელი ჰყავდა ჩართული პროგრამაში, ვიზიტის ფარგლებში ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხები მიიღეს მათი მხრიდან.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს და გააცნო ცენტრის პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, აღნიშნული პოზიცია არ მოახდენდა ზეგავლენას საბჭოს გადაწყვეტილებაზე. ყურადღება გაამახვილა პროგრამის აქტუალურობაზე და აღნიშნა რომ კვალიფიციურად იყო შედგენილი და დაწესებულებაც მზად იყო ამის განსახორციელებლად, დარგის ექსპერტმა და ცენტრის წარმომადგენელმაც ხაზი გაუსვეს, რომ აღჭურვილობის რისკები არ არსებობს, ასევე მისთვის ძალიან დამაჯერებელი იყო და მის რეკომენდაციაზეც დიდი გავლენა მოახდინა ქ-ნ თამარ აფციაურის და ქ-ნ ქეთევან ქუთათელაძის განმარტებებმა, მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული პროგრამა.

მარიკა ზაქარეიშვილის განცხადებით, პროგრამების აქტუალურობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ დარგის ექსპერტი ადასტურებს იმას რომ აღჭურვილობა იყო შესაბამისი, წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომ შესყიდვა განხორციელდა იმ ნივთებს, რომლებიც აკლდა დაწესებულებას, მეტნაკლებად აღმოფხვრილი იყო. ასევე, რაც შეეხება პირველ სტანდარტს და ქვესტანდარტებს, დაწესებულება ადასტურებს, რომ შეიქმნა ტექნიკური პრობლემა ბაზაში დოკუმენტაციის სრულად ასახვასთან დაკავშირებით და წინაპირობებთანაც იყო ტექნიკური ხარვეზები. ამიტომ საბჭო იმსჯელებდა აღნიშნულთან დაკავშირებით.

ნანი დალაქიშვილი დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ დაწესებულება ცენტრს აცნობებდა აღჭურვილობის შეძენის ფაქტს და აღნიშნულ ინფორმაცია საბჭოს მიეწოდებოდა დამადასტურებელი დოკუმენტაციის სახით.

საბჭოს გამოიყენა სათათბირო დრო.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ /01347/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 1 (ნათია კვიციანი)

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრონული სისტემების მონტაჟი)/01347/ (დანართი 4).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის თერმული სისტემების მონტაჟი)“ /01289/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის თერმული სისტემების მონტაჟი)/01289/ (დანართი 5).

6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ /01346/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა მაყვალა დარსანიამ და განაცხადა, რომ დარგის ექსპერტი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას. დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

გაიცა რეკომენდაცია:

ქვესტანდარტი 2.1 - პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, გადამოწმდა მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. 13 განმახორციელებელი პირიდან ორს კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი არ აღმოაჩნდა, ხოლო ოთხი განმახორციელებელი პირის მოთხოვნილი მინიმალური ორი სერტიფიკატიდან მხოლოდ ერთი იქნა წარმოდგენილი. თუმცა დამატებითი ტრენინგების ჩატარება უკვე დაგეგმილია უახლოეს მომავალში დაავადებათა კონტროლის ცენტრის ბიოუსაფრთხოების სპეციალისტების მიერ. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია, რომ ამ პროგრამის ფარგლებში მსმენელთა პირველი ნაკადის მიღებაზე პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღონ კვალიფიციურმა განმახორციელებელმა პირებმა, ხოლო შემდეგ ეტაპზე, როდესაც დანარჩენები გაივლიან ტრენინგებს, ჩაერთვებიან შემდეგ მიღებაზე, შესაბამისი სერტიფიკატების მიღების შემდეგ.

ამის შემდეგ მოკლედ ისაუბრა პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტი - „პროფესიული გადამზადების პროგრამის - „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ დასაბუთება განხორციელების საჭიროების შესახებ“. როგორც დოკუმენტში იკითხება, წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში" ფარგლებში. პროგრამა შემუშავდა პროექტის საერთაშორისო კონსორციუმის მიერ ქართველი და უცხოელი პარტნიორების მონაწილეობით, მათ შორის: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის, საქართველოს ბიოტექნოლოგიის ასოციაციის, ტერამოს უნივერსიტეტის ბიომეცნიერებებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და მილანის უნივერსიტეტის, კლინიკური მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ლაბორატორიის (იტალია) აქტიური თანამშრომლობით. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს ოთხ უნივერსიტეტში, კერძოდ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაინერგოს ლაბორატორიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პროფესიული გადამზადების, უწყვეტი განათლების კურსები.

1.2 ქვესტანდარტი: წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებაა „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“, ხოლო პროგრამის სწავლების შედეგებია:

1. ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკურ/რადიოლოგიური საფრთხეების, შესაბამისი რისკების განსაზღვრის, შეფასების და მართვის პრინციპების ცოდნა;
2. სპეციფიკურ გარემოში ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობა;
3. საფრთხის შემცველი მასალის შეფუთვა და ტრანსპორტირება, ნარჩენების მართვა და დეკონტამინაცია;
4. გადაუდებელ შემთხვევებში (ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ან ბუნებრივი კატასტროფები/უბედური შემთხვევები; ტექნიკური გაუმართაობა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

პროგრამის მიზანში ვკითხულობთ: „პროგრამის შექმნის მიზანია ლაბორატორიული მომსახურების დარგის ახალგაზრდა პროფესიონალთა კომპეტენციების გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში უწყვეტი პროფესიული განათლების განვითარების გზით. პროგრამის ძირითადი ამოცანაა გადაამზადოს ლაბორატორიული სფეროს სპეციალისტები ადამიანისა და გარემოს უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვის მიმართულებით კომპეტენციებისა და ცოდნის გაძლიერების გზით ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“. პროგრამის აღწერითი ნაწილის მიხედვით გადამზადების პროგრამის ფარგლებში მსმენელი გაეცნობა ლაბორატორიული უსაფრთხოებისა და პერსონალის ჯანმრთელობის პრაქტიკულ კურსს, რაც მოიცავს საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების განსაზღვრას და შეფასებას, ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის პრინციპების გაცნობას, უსაფრთხოების დონეების გაცნობას, დეზინფექცია/დეკონტამინაციის და ნარჩენების მართვის პრინციპებს, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს. მსმენელს ექნება საშუალება პრაქტიკული და სიმულაციური სავარჯიშოების საშუალებებით გაიმყაროს მიღებული ცოდნა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების, ინციდენტის დროს რეაგირების, დეკონტამინაციის და ნარჩენების განკარგვის შესახებ. პრაქტიკული სავარჯიშოების ფორმატი უზრუნველყოფს მსმენელთა გუნდში მუშაობისთვის საჭირო და საკუთარ საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარების გაუმჯობესებას. შესაბამისად პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს.

1.3 ქვესტანდარტი: პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანია: „პროგრამის შექმნის მიზანია ლაბორატორიული მომსახურების დარგის ახალგაზრდა პროფესიონალთა კომპეტენციების გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში უწყვეტი პროფესიული განათლების განვითარების გზით. პროგრამის ძირითადი ამოცანაა გადაამზადოს ლაბორატორიული სფეროს სპეციალისტები ადამიანისა და გარემოს უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვის მიმართულებით კომპეტენციებისა და ცოდნის გაძლიერების გზით ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შესაბამისად, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

1.4 ქვესტანდარტი: პროგრამის დაშვების წინაპირობაა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საბუნებისმეტყველო, სიცოცხლის შემსწავლელი, გამოყენებითი ბიომეცნიერების, ბიოტექნოლოგიის, გარემოს დაცვის, აგრარული, სოფლის მეურნეობის, მედიცინის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის, ფარმაკოლოგიის მიმართულებებით ან/და ლაბორატორიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პროფესიულ კვალიფიკაციას. აპლიკანტი ჩამოთვლილი აკადემიური ხარისხიდან/პროფესიული კვალიფიკაციიდან უნდა ფლობდეს ერთ-ერთს. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება და გამოცდა. დაწესებულებამ წარმოადგინა დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძ. №01-02/202, 05/12/2019) დოკუმენტი - „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი“.

1.5 ქვესტანდარტი: როფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.

1.6 ქვესტანდარტი: აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს.

1.7 ქვესტანდარტი: პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

2.2 ქვესტანდარტი: პროფესიული გადამზადების პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2.3 ქვესტანდარტი: სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

2.4. ქვესტანდარტი: სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

3.1 ქვესტანდარტი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მისიაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ და აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარება, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება და ეკონომიკური ძლიერება, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება. უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონის განვითარებაში და პრიორიტეტად მიაჩნია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის კვლევები, შავი ზღვის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლა, ფიტოპათოლოგიური კვლევები, ასევე აგრარული მიმართულებისა და ტურიზმის განვითარება. უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელიც ადმინისტრირებას უწევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს. შესაბამისად, უნივერსიტეტი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მისიას და როლს შესაბამის დარგის განვითარებაში.

3.2 ქვესტანდარტი: დაწესებულებაში შემუშავებულია დოკუმენტი - ბსუს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესი, რომელშიც გაწერილია თუ როგორ ხდება უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განაცხადის წარდგენა, უფლების მოპოვება, პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, აპლიკანტთა შერჩევა, პროგრამის მსმენელის სტატუსის მოპოვება და შეწყვეტა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, მსმენელის მიღწევების შეფასება და შეფასების გასაჩივრების პროცედურები, კვალიფიკაციის მინიჭების და სერტიფიკატის გაცემის პროცედურები. შესაბამისად იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

3.4 ქვესტანდარტი: საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად დაწესებულებაში მოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე - განავითარე“ ციკლი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარები, კერძოდ

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შეფასების კითხვარი (მსმენელებისთვის);
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების კითხვარი (მსმენელებისთვის);
3. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შეფასების კითხვარი (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის);
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა კითხვარი.

ამდენად, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენელს.

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, მადონა მიქელაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ქ-ნ მაყვალას შეფასებისთვის. მისი განცხადებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა უნივერსიტეტში აღნიშნული პროგრამის შემუშავების მიზნით. რაც შეეხება პერსონალის კვალიფიკაციებს, უნივერსიტეტს სწორედ ამიტომ ჰყავდა პროგრამაზე 13 განმხორციელებელი პირი, დაგეგმილი იყო ტრენინგები იმ პირებისთვის ვისაც ჰქონდათ მხოლოდ თითო სერტიფიკატი. მისი განმარტებით, პირველ ეტაპზე სრულად სერტიფიცირებული კვალიფიციური პირები გაუძღვებოდნენ ამ პროგრამის განხორციელებას.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ /01346/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 245428158) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება/01346/ (დანართი 6).

7. შპს ამარენასთვის „ფრანგული კონდიტერია“ /01331/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა მაყვალა დარსანიამ და განაცხადა, რომ დარგის ექსპერტი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას. დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია:

1.2 ქვესტანდარტი - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება „ფრანგული კონდიტერია“. ფრანგული კონდიტერია მოიცავს კონკრეტულ დესერტებს, რომლებიც არის წარმოშობით ფრანგული. არსებობს ფრანგული დესერტების ვრცელი ჩამონათვალი, მაგალითად: შარლოტა, პარი-ბრესტი, ლიმონის ტარტი, ოპერა, ტატენის ტარტი და ა. შ. მომზადების პროგრამაზე პასუხისმგებელ პირთან პირისპირ საუბრისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში უნდა ასწავლოს ისეთი დესერტები, რომლების კლასიფიკაცია არის საერთაშორისო და არა ფრანგული, მაგალითად: ზეფირი. ასევე, ნებისმიერი დესერტი, რომელიც მომზადებულია თანამედროვე ტექნოლოგიით (სიროფი 120, ან ინგლისური კრემის ბაზაზე) თუმცა ასეთ დესერტს არ აქვს ფრანგული წარმოშობა. თუ პროგრამაში შეტანილი იქნება არაფრანგული წარმოშობის დესერტები, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიით მომზადებული, სასურველია პროგრამას ეწოდოს „თანამედროვე ან (საერთაშორისო/ინტერნაციონალური) კონდიტერია“, ნაცვლად „ფრანგული კონდიტერიის“. ტერმინი „ფრანგული ტექნოლოგია“ გამოიყენება მხოლოდ „მერინგის“ (ბეზეს) მომზადებისას, რადგან არსებობს, ბეზეს მომზადების სამი განსხვავებული ტექნოლოგია, ფრანგული, იტალიური და შვეიცარული. სხვა დანარჩენ შემთხვევაში ნებისმიერი თანამედროვე ტექნოლოგიით (სიროფი 120-თ ან ინგლისური კრემის ბაზაზე) მომზადებული დესერტი ვერ ჩაითვლება ფრანგული ტექნოლოგიით მომზადებულად.

2.2 ქვესტანდარტი - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით რეკომენდებულია ჯგუფში მსმენელების რაოდენობა განისაზღვროს 6. C ტიპის სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგად ექსპერტების მიერ დადგინდა, რომ ერთ ჯგუფში შესაძლებელია ერთდროულად ამ გარემოში არა 8 მსმენელის, არამედ 6 მსმენელის მომსახურება, აქედან გამომდინარე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას იურიდიულ პირს შეუძლია ჯგუფების დაკომპლექტება ან ცვლის მიხედვით, ან დღეების მონაცვლეობით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა შპს ამარენას წარმომადგენელს ხათუნა ბაკურაძეს.

ხათუნა ბაკურაძის განცხადებით, აღნიშნული პროგრამა არაფორმალურად ხორციელდება 1 წელია. მისი განმარტებით, 99% დესერტებისა, რაც არის წარმოდგენილი, მას საქართველოში არ უსწავლია, სწორედ საფრანგეთში შეისწავლა და იქ წარმოდგენილ პროგრამებში იყო ზუსტად მსგავსი ტიპის დესერტები, ტექნოლოგია შესაძლოა ყოფილიყო საერთაშორისო, მაგრამ სახელწოდებები იყო უშუალოდ საფრანგეთიდან და ამიტომაც გადაწყვიტა, რომ პროგრამის სახელწოდება ყოფილიყო „ფრანგული კონდიტერია“. რაც შეეხება ზეფირს, მისი განმარტებით, საბჭოთა დესერტის წოდება უფრო შემდეგ ეტაპზე მიანიჭეს. აღნიშნული დესერტი იყო სახლში მომზადებული „მარშმელოუ“, რომელსაც ასევე საფუძველი აქვს ევროპიდან, კერძოდ საფრანგეთიდან. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიიჩნევა პროგრამის სახელწოდების შეცვლას, რადგან არცერთ ევროპის ქვეყანას არ ჰქონდა საკონდიტრო მიმართულება ისე განვითარებული, რომ ჰქონოდათ ბევრი სახეობის დესერტი, გარდა საფრანგეთისა.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამარენასთვის „ფრანგული კონდიტერია“ /01331/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ამარენას (ს/კ: 405293846) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფრანგული კონდიტერია/01331/ **(დანართი 7)**.

საბჭოს სხდომა დასრულდა 12:10 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზაქარეიშვილი მარიკა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

